საქართველოს მთავრობის

დადგენილება №268

2025 წლის 22 ივლისი

ქ. თბილისი

„სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის №507 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის №507 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 29/09/2015, 130030000.10.003.018893) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებულ №2 დანართს („სახელმწიფო საიდუმლოებისათვის მიკუთვნებული ინფორმაციების ნუსხა“) დაემატოს შემდეგი შინაარსის 30-ე მუხლი:

„**მუხლი 30.** ინფორმაცია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის დროებითი განთავსების ცენტრის ობიექტებისათვის ჩასატარებელი და ჩატარებული საპროექტო, სამშენებლო, სარემონტო სამუშაოების შესახებ. ცნობები აღნიშნულ ტერიტორიაზე სამშენებლო, სარემონტო სამუშაოების დროს გამოყენებული სამშენებლო-სარემონტო მასალის, ტექნიკური საშუალებების/აღჭურვილობის და ძალების შესახებ.“.

მუხლი 2

ამ დადგენილების პირველი მუხლით გათვალისწინებული ნორმის მოქმედება გავრცელდეს ამავე დადგენილების ამოქმედებიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**